საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 33

ბათუმი 20 ნოემბერი **2020 წ.**

,, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2020 წლის 11 მარტის N 12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2020 წლის 11 მარტის N 12 ბრძანებით დამტკიცებულ N 1 დანართში შევიდეს ცვლილება და მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 მუხლი:

,, მუხლი 3^1

უმაღლესი საბჭოს აპარატის მანდატურის უფლებამოსილებები

1. უმაღლესი საბჭოს აპარატის მანდატური (შემდგომ – მანდატური), არის უმაღლესი საბჭოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი რომლის ძირითადი ფუნქციაა უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში პლენარული, ბიუროს და კომიტეტების სხდომების მიმდინარეობისას სხდომათა დარბაზებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის ხელშეწყობა.

2. მანდატური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით ამ დებულებით უმაღლესი საბჭოს აპარატის ხელმძღვანელობის სამართლებრივი აქტებით, ასევე შრომითი ხელშეკრულებით.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატში შეიძლება იყოს ორი მანდატური - მთავარი მანდატური და მანდატური.

4. მანდატურებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შრომითი ხელშეკრულებას უფორმებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

5. მანდატურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის, ბიუროს სხდომის, კომიტეტის სხდომათა დარბაზში სხდომის თავმჯდომარისათვის წესრიგის დაცვაში დახმარების გაწევა, ცალკეული მითითებების შესრულება;

ბ) უმაღლესი საბჭოს აპარატის ხელმძღვანელობის დავალებით სხვადასხვა ღონისძიებების მიმდინარეობისას წესრიგის დაცვის ხელშეწყობა;

გ) უმაღლესი საბჭოს პლენარული, ბიუროს და საკომიტეტო სხდომების მსვლელობისას უმაღლესი საბჭოს წევრთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციის ნეიტრალიზაციის მიზნით მის განმუხტვაში ჩარევა;

დ) უმაღლესი საბჭოს წევრის მიმართ პლენარული და საკომიტეტო სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარის მოთხოვნის აღსრულება;

6. მთავარი მანდატური:

ა) დაკისრებულ მოვალეობათა ჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს უმაღლესი საბჭოს აპარატის ხელმძღვანელობასთან.

ბ) დავალებას აძლევს აპარატის მანდატურს და უზრუნველყოფს მისი შესრულების კონტროლს;

გ) უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგენს წინადადებებს აპარატის მანდატურის წახალისების და მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე;

დ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. აპარატის მთავარი მანდატურის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას დროებით, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანების საფუძველზე, ასრულებს აპარატის მანდატური.

8. ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომის დღეს მანდატური, ახალ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების, უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში შესვლიდან პლენარულ სხდომათა დარბაზში შესვლამდე წესრიგის დაცვაში ხელს უწყობს უმაღლესი საბჭოს აპარატის ხელმძღვანელობას და საჭიროების შემთხვევაში ასრულებს მათ ბრძანებებს და მითითებებს".

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ, ღიად განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის თვალსაჩინო, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. ბრძანება განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა და საჯაროდ გამოცხადება, უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტმა.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ამოქმედდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

დავით გაბაიძე